საქართველოს მთავრობის

დადგენილება №271

2014 წლის 4 აპრილი

ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტების - წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების (საინფორმაციო ანგარიში) წესის, წიაღით სარგებლობის პროექტების, საბადოთა დამუშავების ტექნოლოგიური სქემებისა და სამთო სამუშაოთა განვითარების გეგმების შედგენის წესისა და სტატისტიკური დაკვირვების ფორმების (№1-01, 1-02, 1-03 და 1-04) დამტკიცების თაობაზე

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორ-მატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 47-ე მუხლებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის გათვალისწინებით:

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული:

1. ტექნიკური რეგლამენტი წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების (საინფორმაციო ანგარიში) წესი (დანართი №1).

2. ტექნიკური რეგლამენტი წიაღით სარგებლობის პროექტების, საბადოთა დამუშავების ტექნოლოგიური სქემებისა და სამთო სამუშაოთა განვითარების გეგმების შედგენის წესი (დანართი №2).

3. სტატისტიკური დაკვირვების ფორმები №1-01, 1-02, 1-03 და 1-04 (დანართები №3-№6).

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების (საინფორმაციო ანგარიში) და წიაღით სარგებლობის პროექტების, საბადოთა დამუშავების ტექნოლოგიური სქემებისა და სამთო სამუშაოთა განვითარების გეგმების შედგენის ტექნიკური რეგლამენტისა და სტატისტიკური დაკვირვების ფორმების №1-01, 1-02, 1-03, 1-04 და 1-05 დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №421 დადგენილება.

მუხლი 3

სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ 2013 წლის ანგარიშის ამ დადგენილებით განსაზღვრულისგან განსხვავებული ფორმით, ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ვადაში წარმოდგენისას, ლიცენზიის მფლობელს ანგარიში ჩაეთვლება წარმოდგენილად. ასეთ შემთხვევაში, ლიცენზიის გამცემი ლიცენზიის მფლობელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რა ვადაშიც იგი ვალდებულია 2013 წლის ანგარიში სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ წარუდგინოს ლიცენზიის გამცემს ამ დადგენილებით განსაზღვრული ფორმით.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2014 წლის 1 აპრილიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დანართი №1

ტექნიკური რეგლამენტი

წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ

ანგარიშგების (საინფორმაციო ანგარიში) წესი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ტექნიკური რეგლამენტის რეგულირების საგანი

ეს ტექნიკური რეგლამენტი არეგულირებს წიაღით სარგებლობის მდგომარეობაზე საინფორმაციო ანგარიშის შედგენისა და წარდგენის წესს.

მუხლი 2. ტექნიკური რეგლამენტის მიზანი და ამოცანები

ტექნიკური რეგლამენტის მიზანია საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე მკაფიოდ და გარკვევით განისაზღვროს საინფორმაციო ანგარიშის შემადგენელი კომპონენტები, შედგენილობა, შინაარსი და მოცულობა.

თავი II. წიაღით სარგებლობის საინფორმაციო

ანგარიშის მიმართ წაყენებული მოთხოვნები

მუხლი 3. საერთო დებულებები

1. ლიცენზიის სახეების შესაბამისად წიაღით სარგებლობა ხორციელდება წიაღით სარგებლობის პროექტების ან/და სამთო სამუშაოთა განვითარების გეგმების ან საბადოთა დამუშავების ტექნოლოგიური სქემების შესაბამისად.

2. წიაღით მოსარგებლე სუბიექტები ვალდებულნი არიან, დადგენილი წესით განსაზღვრულ ვადებში, ლიცენზიის გამცემს წარუდგინონ საინფორმაციო ანგარიში წიაღით სარგებლობის მდგომარეობის შესახებ, შედგენილი ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიში ასევე უნდა წარედგინოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

მუხლი 4. საინფორმაციო ანგარიში

საინფორმაციო ანგარიში უნდა მოიცავდეს ტექსტს, თანდართული ანალიტიკური და გრაფიკული მასალების განმარტებითი ბარათის სახით.

ა) ტექსტურ მასალაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია:

ა.ა) წიაღით მოსარგებლისა და წიაღით სარგებლობის ობიექტის შესახებ. მასში უნდა აისახოს ინფორმაცია სალიცენზიო ობიექტის მდებარეობის, სამთო მომპოვებელი საწარმოს შესახებ, ასევე, ცალკეულ ობიექტზე არსებული უბნების და სასარგებლო წიაღისეულის ათვისების ხარისხის შესახებ. ინფორმაცია ლიცენზიანტისა და სალიცენზიო პირობების შესახებ;

ა.ბ) მონაცემები სასარგებლო წიაღისეულის ტიპის (სახეობა), მასში სასარგებლო კომპონენტის საშუალო შემცველობის შესახებ. ასევე, მონაცემები საწარმოს წლიური საპროექტო სიმძლავრის შესახებ და ინფორმაცია როდიდან მუშავდება ან იძიება ობიექტი, თუ წარმოადგენს დაძიებულ ან სარეზერვო ობიექტს;

ა.გ) მონაცემები იმის შესახებ, რომ ობიექტზე არსებული რესურსი ბალანსურია, ბალანსგარე, თუ პროგნოზული. იმ შემთხვევაში თუ, სასარგებლო წიაღისეულის მარაგები დამტკიცებულია, უნდა იყოს მონაცემები დამტკიცებული მარაგების ოდენობის შესახებ (სასარგებლო წიაღისეულის ჩამონათვალი მოცემული ობიექტისათვის კატეგორიების მიხედვით), მარაგების დამტკიცების ოქმის ნომერი და თარიღი;

ა.დ) საინფორმაციო ანგარიში უნდა მოიცავდეს მონაცემებს ობიექტზე არსებული ცალკეული მარაგების და

რესურსების მოძრაობის შესახებ - როგორი იყო სასარგებლო წიაღისეულის მარაგების მდგომარეობა საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის (კატეგორიების მიხედვით) და საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის (კატეგორიების მიხედვით) როგორც ბალანსური, ისე ბალანსგარე მარაგებისათვის. შესაბამისად, უნდა აისახოს მარაგების მდგომარეობის შესახებ მონაცემებში ცვლილებები, რომელიც გამოწვეული იქნა: მოპოვების, დანაკარგების (რაოდენობრივი, ხარისხობრივი), დაძიების შედეგების (კატეგორიების მიხედვით), გადაფასების შედეგების (კატეგორიების მიხედვით) და ტექნიკური საზღვრების ცვალებადობის ან სხვა მიზეზების გამო (კატეგორიების მიხედვით);

ბ) ანალიტიკურ მასალაში მოცემული უნდა იყოს წიაღით სარგებლობის ძირითადი პარამეტრები: სალიცენზიო ფართობი, სამთო (გეოლოგიურ) მინაკუთვნში მოქცეული მარაგები და რესურსები ლიცენზიის გაცემის მომენტისათვის სასარგებლო წიაღისეულის სახეობების მიხედვით (კატეგორიები); ასევე, მონაცემები ჭაბურღილების, გვირაბებისა და თხრილების გაყვანის (რაოდენობა, სიგრძე), ღარული და ტექნოლოგიური სინჯებისა და საცდელი კარიერების შესახებ, ღია კარიერული წესით დამუშავებისას გადახსნითი სამუშაოების წარმოების და მიწისქვეშა სამუშაოების წარმოებისას გამხსნელი და მოსამზადებელი გვირაბების გაყვანის შესახებ; მონაცემები სასარგებლო წიაღისეულის ოდენობის შესახებ საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის, საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის და ამ პერიოდში მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ოდენობის შესახებ (კატეგორიებისა და მოცემული ობიექტისათვის სასარგებლო წიაღისეულის ჩამონათვალის მიხედვით) როგორც ძირითადი, ისე თანმდევი სასარგებლო წიაღისეულისათვის; ინფორმაცია სანაყაროებზე, სპეცსაწყობებში და შლამ და კუდსაცავებში დაგროვილი და/ან დროებით გამოუყენებელი სასარგებლო წიაღისეულისა და მათი გადამუშავების შესახებ საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის და სასარგებლო წიაღისეულის დარჩენილი ოდენობის შესახებ საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის; ასევე, წიაღით სარგებლობისათვის გადახდილი გადასახდელების, მათ შორის, რეგულირების საფასურის შესახებ;

(ზემოაღნიშნული ინფორმაცია წიაღით სარგებლობის სახეების მიხედვით წარმოდგენილი უნდა იყოს ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად შევსებულ სტატისტიკური დაკვირვების ფორმა №1-01-ში.);

ბ.ა) მიწისქვეშა წყლებითა და არასაწვავი აირებით სარგებლობისას, ანალიტიკური მასალა უნდა მოიცავდეს მონაცემებს: ლიცენზიის გაცემის მომენტისათვის მიწისა და სამთო (გეოლოგიური) მინაკუთვნების პარამეტრების (ფართობი, სიღრმე) შესახებ, მონაცემებს სანიტარიული დაცვის ზონისა და სამთო (გეოლოგიურ) მინაკუთვნში მოქცეული მიწისქვეშა წყლების დებიტის შესახებ (კატეგორიების მიხედვით); მონაცემებს საბადოს სახეობის შესახებ: ბუნებრივი წყაროები, ჭაბურღილები (საექსპლუატაციო, სათვალთვალო, სარეზერვო), ჭები; ინფორმაციას სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ოდენობის შესახებ საანგარიშო პერიოდში მისი გადაანგარიშების შემთხვევაში (კატეგორიების მიხედვით), მონაცემებს ჭაბურღილის (წყაროს, ჭის) საექსპლუატაციო დებიტის, ტემპერატურის ^{0}C; მიწის ზედაპირიდან წყლის დონის, მოპოვებული პროდუქციის ოდენობისა და წიაღით სარგებლობისათვის გადახდილი გადასახდელების, მათ შორის, რეგულირების საფასურის შესახებ;

(ზემოაღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად შევსებულ სტატისტიკური დაკვირვების ფორმა №1-02-ში და 1–03-ში.);

ბ.ბ) წიაღისეულის მოპოვებასთან დაუკავშირებელი მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობისა და ექსპლუატაციისას შედგენილი უნდა იყოს ობიექტის განთავსებისა და მისი პარამეტრების შესახებ ინფორმაციის, მშენებლობის ვადებისა და შესრულებულ სამშენებლო სამუშაოთა და/ან ექსპლუატაციაში მყოფი ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის, მშენებლობისას დარღვეული მიწის ფართის შესახებ, აგრეთვე, ობიექტით (მათი) სარგებლობის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია (სტატისტიკური დაკვირვების ფორმა №1-04);

გ) თანდართული გრაფიკული მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს:

გ.ა) ტოპოგეგმით, რომელზეც ასახული იქნება საანგარიშო პერიოდში დამუშავებული ფართობის პარამეტრები: X, Y, Z (სიგრძე, სიგანე, სიმაღლე);

გ.ბ) სალიცენზიო ტერიტორიის ტოპოგეგმები დამუშავებამდე და დამუშავების შემდეგ, ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვის, ნაწილობრივ ან სრულად გადაცემის, ან ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ელექტრონული ვერსიით, ასევე, გეოინფორმაციული სისტემების ფაილებით.

დანართი №2

ტექნიკური რეგლამენტი

წიაღით სარგებლობის პროექტების, საბადოთა დამუშავების ტექნოლოგიური სქემებისა და სამთო სამუშაოთა განვითარების გეგმების შედგენის წესი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ტექნიკური რეგლამენტის რეგულირების საგანი

ეს ტექნიკური რეგლამენტი არეგულირებს წიაღით სარგებლობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის წესს.

მუხლი 2. ტექნიკური რეგლამენტის მიზანი და ამოცანები

ტექნიკური რეგლამენტის მიზანია საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე მკაფიოდ და გარკვევით განსაზღვროს წიაღით სარგებლობის საპროექტო დოკუმენტაციის შემადგენელი კომპონენტები, შინაარსი და მოცულობა.

თავი II. წიაღით სარგებლობის საპროექტო დოკუმენტაციის

მიმართ წაყენებული მოთხოვნები

მუხლი 3. საერთო დებულებები

1. ლიცენზიის სახეების შესაბამისად წიაღით სარგებლობა ხორციელდება წიაღით სარგებლობის პროექტების ან/და სამთო სამუშაოთა განვითარების გეგმების ან საბადოთა დამუშავების ტექნოლოგიური სქემების შესაბამისად.

2. წიაღით მოსარგებლე სუბიექტები ვალდებულნი არიან ლიცენზიით დადგენილ ვადაში შეადგინონ წიაღით სარგებლობის საპროექტო დოკუმენტაცია ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად.

3. იმ შემთხვევაში, თუ წიაღის ერთი ობიექტით სარგებლობს რამდენიმე მეწარმე სუბიექტი, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, შედგენილი უნდა იქნეს წიაღით სარგებლობის ერთიანი პროექტი და/ან სამთო სამუშაოთა განვითარების გეგმა, ან ტექნოლოგიური სქემა, რომელშიც მკაფიოდ ჩამოყალიბდება მომიჯნავე უბნებით სარგებლობის წესი, რათა საპროექტო გადაწყვეტამ, კანონმდებლობის და ლიცენზიის მოთხოვნების შესაბამისად, უზრუნველყოს წიაღით რაციონალური სარგებლობისა და მისი დაცვის საფუძვლების ჩამოყალიბება.

მუხლი 4. წიაღით სარგებლობის პროექტი

1. წიაღით სარგებლობის პროექტი წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს ლიცენზიით გათვალისწინებული წიაღით სარგებლობის კონკრეტული სახის განხორციელების ტექნიკურ, ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ საშუალებებს, მოცულობებსა და პირობებს. პროექტი შედგენილი უნდა იყოს ტექსტის სახით, შესაბამისი გრაფიკული დანართებით.

2. პროექტი უნდა შეიცავდეს შესავალს, სადაც მოცემული იქნება პროექტის შედგენის განმსაზღვრელი დოკუმენტის – ლიცენზიის მონაცემები და პირობები, პროექტის მიზანი და ამოცანები, რომლებშიც აისახება:

ა) საერთო ცნობები წიაღით სარგებლობის ობიექტის შესახებ (გეოგრაფიული და ადმინისტრაციულ-ტერიორიული მდებარეობა, ფართობი, მოცულობა, ინფრასტრუქტურა, გეოლოგიური აგებულება) და თუ ობიექტი დეტალურადაა შესაწავლილი – ობიექტის საზღვრებში მოქცეული მარაგები;

ბ) წიაღით სარგებლობის განვითარების რეჟიმი, გეგმა და ვადები;

გ) წიაღით სარგებლობის სამუშაოთა შესრულების ტექნოლოგია და ტექნიკური პარამეტრები;

დ) წიაღისა და გარემოს დაცვის ღონისძიებები, მათ შორის, სალიკვიდაციო და სარეკულტივაციო სამუშაოთა შესრულების მეთოდები და პირობები;

ე) უსაფრთხოების ტექნიკის, შრომის დაცვის და სამრეწველო სანიტარიის ძირითადი და ამ პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული განსაკუთრებული მოთხოვნები;

ვ) ეკონომიკური ნაწილი;

ზ) გარდა ზემოაღნიშნულისა, პროექტი შეიძლება შეიცავდეს სხვა დამატებით მასალას წიაღით მოსარგებლე სუბიექტის ინტერესების შესაბამისად.

3. პროექტის გრაფიკულ მასალებში წარმოდგენილი უნდა იყოს:

ა) მიწის ზედაპირის ტოპოგრაფიული რუკა, წიაღით სარგებლობის ობიექტის საზღვრების (სამთო, გეოლოგიური და მიწის მინაკუთვნების კონტურების) და პროექტის შედგენის მომენტისათვის არსებული მდგომარეობის დატანით;

ბ) თუ ობიექტი შესწავლილია, სასარგებლო წიაღისეულის მარაგების გამოთვლის კონტურები გეგმაზე და ჭრილებზე, სასარგებლო წიაღისეულის სახეობებისა და ტიპების ან მათ ნაირსახეობების მიხედვით, თუ ასეთი არსებობს. წიაღით სარგებლობის, მათ შორის, საბადოს გახსნის სქემა. გასაყვანი საძიებო ჭაბურღილების, შურფების, თხრილების და სხვა ადგილმდებარეობის და პარამეტრების ჩვენებით. წიაღით სარგებლობის განვითარების სქემა წინასწარი შესწავლის გარეშე მოპოვებითი სამუშაოების წარმოებითა და შედეგად გახსნილი წიაღის უბნების შესწავლით. აღნიშნული დოკუმენტები პროექტებში შეიტანება ლიცენზიით განსაზღვრული წიაღით სარგებლობის სახისა და დანიშნულების შესაბამისად;

გ) მიწისზედა და მიწისქვეშა ნაგებობების (მისასვლელი და მინაკუთვნის შიდასარგებლობის გზები, ჭაბურღილები, საკაპტაჟე ნაგებობები, თხრილები, შურფები, კარიერები, გვირაბები და სხვ.), აგრეთვე, წიაღით სარგებლობისათვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების და სისტემების განთავსება, მათი კონსტრუქცია და ელემენტები, გადასახსნელი ფუჭი ქანების სანაყაროების, მოპოვებული ძირითადი და დროებით გამოუყენებული სასარგებლო წიაღისეულის საწყობების და სამთო საწარმოთა სხვა ნარჩენების განთავსების ადგილმდებარეობა და კონსტრუქციული ელემენტები. კარიერების, ტრანშეების, გვირაბების და სხვა მიწისქვეშა და მიწისზედა ნაგებობების მდგომარეობის ამსახველი გრაფიკული დოკუმენტები წიაღით სარგებლობის დაწყების, მიმდინარეობის და დასრულების მომენტისათვის;

დ) საწარმო ნარჩენების სანაყაროების და სასარგებლო წიაღისეულის საწყობების გრაფიკულ დოკუმენტაციაზე უნდა იყოს მათი მოხაზულობა და კონსტრუქცია (იარუსების რაოდენობა, მათი სიმაღლე, დამცავი ბერმების სიგანე, იარუსის საფეხურისა და ნაგებობების ბორტის დახრის კუთხეები);

ე) ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების ძირითადი პარამეტრები, მუხტების განლაგების და აფეთქების ქსელის მონტაჟის სქემა, მათი კომუტაციის თანმიმდევრობა, მონგრეული ქანის განფენის ზომები, აფეთქების მოქმედების საფრთხე ზონების რადიუსები და საგუშაგოების ადგილმდებარეობა;

ვ) საბადოთა მიწისქვეშა დამუშავებისას ჭერის მართვის ძირითადი პარამეტრები, გვირაბების გამაგრების პასპორტები, ვენტილაციის და წყალამოღვრის სქემები, შესატყვისი დანადგარებისა და აღჭურვილობის ჩვენებით;

ზ) წიაღის შესწავლისას მისი შემდგომი ათვისების მიზნით: სადაზვერვო თხრილების, გვირაბების, ჭაბურღილების, საცდელი კარიერების და სხვ. ადგილმდებარეობა და ძირითადი პარამეტრები (სიგრძე, სიგანე, დიამეტრი, სიღრმე, დახრის კუთხე და სხვ), მინიმალური სამუშაოების მოცულობა, მათი ხარჯთაღრიცხვა, საჭირო ინვესტიციების ოდენობა და სხვა;

თ) წიაღისეულის მოპოვებასთან დაუკავშირებელი მიზნით წიაღით სარგებლობისას: მიწისქვეშა ნაგებობების ადგილმდებარეობის ასახვა, მათი ძირითადი პარამეტრების და კონსტრუქციის ჩვენებით, ნაგებობების ვენტილაციის, წყალამოღვრის სქემები, შესატყვისი დანადგარებისა და აღჭურვილობის ჩვენებით (სადაც ასეთი საჭიროა). გრაფიკული მასალებიდან უნდა ჩანდეს, თუ როგორ არის განთავსებული წიაღში მიწისქვეშა ნაგებობა. უნდა იყოს მოყვანილი მისი გამაგრების პასპორტი და დასაკვირვებელი წერტილების განლაგების ადგილები;

ი) გრაფიკული მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს ისეთ მასშტაბში, რომელიც უზრუნველყოფს მისი დანიშნულების შესაბამისი მონაცემების მკვეთრ წარმოჩენას. გრაფიკულ მასალებზე უნდა იყოს მოცემული ყველა საჭირო პირობითი აღნიშვნა და განმარტება.

4. განმარტებით ბარათში მოყვანილი უნდა იქნეს:

ა) ცნობები წიაღით სარგებლობის სამართლებრივი საფუძვლების შესახებ;

ბ) წიაღით სარგებლობის ობიექტის ადგილმდებარეობისა და იქ არსებული კლიმატური პირობების შესახებ, წყალმომარაგების და ელექტრომომარაგების კომუნიკაციების აღწერილობა, ობიექტზე მისასვლელი გზების მდგომარეობის შეფასება;

გ) ობიექტის ჰიდრო და საინჟინრო გეოლოგიური პირობები, ძირითადი მონაცემები გეოლოგიური შესწავლილობის, მათ შორის, სასარგებლო წიაღისეულის მარაგების შესწავლის მდგომარეობის შესახებ მათი სახეობის, ხარისხის და სხვა მახასიათებლების მიხედვით. სხვა ქანების დახასიათება, მონაცემები სასარგებლო წიაღისეულის ქიმიური შედგენილობის შესახებ, სასარგებლო წიაღისეულის და შემცველი ქანების ტექნოლოგიური მახასიათებლები და გამოსაშვებ პროდუქციაზე სახელმწიფო სტანდარტების ჩამონათვალი;

დ) მონაცემები საწარმოს მუშაობის რეჟიმის შესახებ და წიაღით სარგებლობის პარამეტრები: მოცულობა, პერიოდი და სხვა;

ე) მონაცემები წიაღით სარგებლობისათვის გამოყენებული ტექნოლოგიების და მათი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ, წიაღით რაციონალური სარგებლობის უზრუნველყოფის მოთხოვნებიდან გამომდინარე;

ვ) წიაღით სარგებლობის ძირითადი პარამეტრების, ობიექტის ფუნქციონირებისათვის საჭირო ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების, ვენტილაციის, ტრანსპორტის ელექტროენერგიის, ძირითადი მასალების ხარჯვის, კაპიტალური, მოსამზადებელი და საექსპლუატაციო სამუშაოთა მოცულობის გაანგარიშება;

ზ) ეკონომიკური ნაწილი, რომელშიც აისახება წიაღით სარგებლობით მისაღები შემოსავლების ოდენობა, თვითღირებულება, გადასახდელები, მოგება, ინვესტიციების მოცულობა და მათი დაფარვის პერიოდი;

თ) ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, წიაღისა და გარემოსდაცვითი ღონისძიებები, დაზიანებული მიწების წიაღით სარგებლობის დასრულებამდე აღდგენის (რეკულტივაციის) შესაძლებლობა, ტექნოლოგია და კალენდარული გეგმა, გამწმენდ ნაგებობათა ნუსხა და მათი ეფექტურობის მაჩვენებლები;

ი) საბადოს უსაფრთხოდ ათვისებისა და სანიტარიული ნორმების უზრუნველმყოფი ღონისძიებები;

კ) წიაღით სარგებლობის დასრულებისას ჩასატარებელი სალიკვიდაციო და სარეკულტივაციო სამუშაოების ტექნოლოგიები, მოცულობები და სახსრები.

5. იმ შემთხვევაში, თუ წიაღით სარგებლობა მიზნად ისახავს საწარმოო ნარჩენების ჩამარხვას ან მათ შენახვას, პროექტში უნდა იყოს მოყვანილი საწარმოო ნარჩენების ქიმიური შემადგენლობა, ტოქსიკურობის ხარისხი და ადამიანთა ჯანმრთელობაზე, წიაღისა და გარემოს მდგომარეობაზე მათი მავნე მოქმედების აღკვეთის ღონისძიებები.

6. იმ შემთხვევაში, თუ საბადოს ათვისება ხორციელდება ღია წესით, ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების ჩატარების გარეშე და სამთო-მომპოვებელი საწარმოს წლიური მწარმოებლურობა სამთო მასის მიხედვით არ აღემატება 50 000 m^3-ს, დასაშვებია გამარტივებული პროექტის – საბადოს დამუშავების ტექნოლოგიური სქემის შედგენა, რომლის განმარტებითი ბარათი ძირითადად შეიცავს საბადოს ათვისების ტექნიკურ-ეკონომიკურ გაანგარიშებას, წიაღით სარგებლობისას ადამიანთა სიცოცხლის და ჯანმრთელობის, წიაღისა და გარემოს დაცვის, აგრეთვე, სანიტარიული ნორმების უზრუნველყოფის ღონისძიებებს, ხოლო გრაფიკული მასალა იქნება საკმარისი ობიექტით უსაფრთხო და რაციონალურად სარგებლობის ტექნოლოგიური პარამეტრების განსაზღვრისა და წარმოებისათვის.

მუხლი 5. წიაღით სარგებლობის სამუშაოთა განვითარების გეგმა

1. წიაღით მოსარგებლე სუბიექტებმა ლიცენზიით განსაზღვრულ ვადებში და შემთხვევებში უნდა შეადგინონ

წიაღით სარგებლობის, მათ შორის, სამთო სამუშაოთა განვითარების ყოველწლიური გეგმა.

2. წიაღით სარგებლობის სამუშაოთა განვითარების გეგმა შედგენილი უნდა იყოს ტექსტის სახით, თანდართული ანალიტიკური და გრაფიკული მასალებით.

3. ტექსტში მოთხრობილი უნდა იყოს საანგარიშო პერიოდში განხორციელებული წიაღით სარგებლობის, მისი არსებული მდგომარეობის და განვითარების მიმართულებების, აგრეთვე, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, წიაღისა და გარემოს დაცვის უზრუნველყოფისათვის გატარებულ და გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

4. ანალიტიკურ მასალებში მოცემული უნდა იყოს წიაღით სარგებლობის ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები წიაღით სარგებლობის სახეობის მიხედვით.

5. გრაფიკული მასალა სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების შემთხვევაში, შედგენილი უნდა იყოს საანგარიშო პერიოდში შესრულებულ სამთო სამუშაოთა გეგმით, ხოლო შესწავლის შემთხვევაში – ჭაბურღილების, სადაზვერვო გვირაბების, თხრილების და სხვა მიწისქვეშა და მიწისზედა ნაგებობების მდგომარეობისა და მათი გაყვანის შედეგად მიღებული გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტებით.

6. წიაღისეულის მოპოვებასთან დაუკავშირებელი მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობისა და ექსპლუატაციისას შედგენილი უნდა იყოს შესრულებულ სამშენებლო სამუშაოთა და/ან ექსპლუატაციაში მყოფი ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება-გამოკვლევის ამსახველი დოკუმენტაცია.

მუხლი 6. სამთო სამუშაოთა განვითარების გეგმების შემადგენლობა

1. იმ შემთხვევაში, თუ სამთო საწარმოს წლიური მწარმოებლურობა სამთო მასის მიხედვით აღემატება 50 000 მ^3 ს და მის მიერ გამოშვებული პროდუქცია მრავალდანიშნულებისა და სხვადასხვა სახეობისაა, წიაღით სარგებლობის პროექტის გარდა, ყოველწლიურად წიაღით მოსარგებლემ, ლიცენზიით განსაზღვრულ შემთხვევაში, უნდა შეადგინოს სამთო სამუშაოთა განვითარების გეგმა, რომელიც შეიცავს გრაფიკულ მასალას და განმარტებით ბარათს.

2. გრაფიკული მასალა შეიცავს:

ა) საანგარიშო პერიოდში შესრულებულ სამთო სამუშაოთა და მისი შემდგომი განვითარების გეგმას (პროექციები ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ სიბრტყეზე) კვარტალების მიხედვით;

ბ) მუშა ჰორიზონტების გეგმებს და ჭრილებს საკმარისი რაოდენობით. ამ ნახაზებზე გამოყოფილი უნდა იქნეს უკვე გაუქმებული და საანგარიშო წლისათვის გასაუქმებლად დანიშნული მარაგები და აგრეთვე, დროებით არააქტიური მარაგების კონტური;

გ) გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა განვითარების გეგმას.

3. განმარტებით ბარათში მოყვანილი უნდა იქნეს:

ა) გეოლოგიური შესწავლის მიმართულებების დასაბუთება;

ბ) გეოლოგიური ბლოკების მიხედვით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და გადამუშავების რაოდენობის და ფუჭი ქანის მონგრევის მოცულობის ამსახველი ცხრილები, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებადობის ხარისხისა და მასში სასარგებლო კომპონეტების შემცველობის და რაოდენობის ჩვენებით;

გ) გამოსაშვებ კონცენტრატებში სასარგებლო კომპონენტების მოცულობის, მათი გამოსავლიანობის და რაოდენობის ამსახველი ცხრილები;

დ) მონაცემები წლის დასაწყისში საწარმოს მარაგებით უზრუნველყოფის შესახებ, ამ მარაგების მზადობის სტადიების ჩვენებით (გახსნილი და ამოღებისათვის მომზადებული მარაგების საპროექტო და დაგეგმილი რაოდენობა);

ე) მონაცემები დროებით არააქტიური მარაგების შესახებ, მათი წარმოქმნის მიზეზების ჩვენებით;

ვ) დასაწყობებული სასარგებლო წიაღისეულის რაოდენობის ამსახველი მონაცემები მასში სასარგებლო კომპონენტების შემცველობის და რაოდენობის ჩვენებით;

ზ) მონაცემები დამუშავების სისტემის და მისი პარამეტრების შესახებ, მათ შორის, სასარგებლო წიაღისეულის დანაკარგების და გაღარიბების საპროექტო და დაგეგმილი დონის შესახებ;

თ) მოსამზადებელი გვირაბების ჩამონათვალი და მათი გაყვანის კალენდარული გეგმა;

ი) შრომისა და გარემოს დაცვის, აგრეთვე, ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

მუხლი 7. სამთო სამუშაოთა განვითარების გეგმების შედგენის თავისებურებანი

სამთო სამუშაოთა განვითარების გეგმების შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ საკითხებს:

ა) საბადოს ათვისებისას სამთო სამუშაოთა განვითარების შესაბამისობას „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის, ლიცენზიის პირობების მოთხოვნებსა და საპროექტო მონაცემებთან;

ბ) საბადოს ან მისი ნაწილის ათვისების გეგმაზომიერებას, რომელიც გამორიცხავს სასარგებლო წიაღისეულის ისეთ შერჩევით მოპოვებას, რომლის შედეგად შეუძლებელი გახდება დარჩენილი წიაღისეულის ხელსაყრელი მოპოვება, გარემოს დაცვისა და შრომის უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფით;

გ) საექსპლუატაციო გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოების დაგეგმარებას საწარმოს მინერალური ბაზის განვითარების მიზნით;

დ) სამთო-მოსამზადებელი და გადახსნითი სამუშაოების გეგმური მოცულობების შესაბამისობას საპროექტო მონაცემებთან;

ე) ყოველი ამოსაღები ერთეულის მიხედვით სასარგებლო წიაღისეულის ეკონომიკურად დასაბუთებული დანაკარგებისა და გაღარიბების მაჩვენებლებს;

ვ) თანმხლები სასარგებლო წიაღისეულის და სხვა, მომავალში გამოსადეგი, ქანების შენახვას – დასაწყობების ტექნოგენური საბადოების ფორმირების თვალსაზრისით;

ზ) წიაღის რაციონალურად გამოყენების და გარემოს დაცვითი ღონისძიებების ეფექტურობას;

თ) სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებისა და ნაგებობების შენახვას და დაცვას სამთო სამუშაოების დაზიანებული ზეგავლენისაგან.

დანართი №3

უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების ფორმა №1-01

მონაცემები ბუნებრივი და ტექნოგენური საბადოებით (მყარი სასარგებლო

წიაღისეული) სარგებლობის და საქმიანობის შედეგების შესახებ

ლიცენზიის ნომერი	
წიაღით მოსარგებლე სუბიექტის სახელწოდება	

საიდენტიფიკაციო ნომერი	
მისამართი, ტელეფონი	
წიაღით სარგებლობის ობიექტის დასახელება	
წიაღით სარგებლობის სახე	
წიაღით სარგებლობის დაწყების თარიღი	
საანგარიშო პერიოდი	

№	მაჩვენებლების დასახელება	ზომის ერთეული	მაჩვენებლები
1	2	3	4
1	*წიაღით სარგებლობისათვის მიწისა და სამთო (გეოლოგიური) მინაკუთვნების მდგომარეობა ლიცენზიის გაცემის მომენტისათვის*		
1.1	ლიცენზიით გამოყოფილი მიწის და სამთო (გეოლოგიური) მინაკუთვნის ფართობი	ჰა	
1.2	სამთო (გეოლოგიურ) მინაკუთვნში მოქცეული სასარგებლო წიაღისეულის მარაგები, სახეობების ჩამონათვალი (კატეგორიებით) ლიცენზიის მიხედვით:	ტ.; $მ^3$	
1.2.1			
1.2.2			
1.2.3			
1.3	სამთო (გეოლოგიურ) მინაკუთვნში მოქცეული თანმდევი სასარგებლო წიაღისეულის მარაგები (გეოლოგიური ან/და სამრეწველო) ლიცენზიის მიხედვით:	ტ.; $მ^3$	
1.3.1			
1.3.2			
1.3.3			
2	*საანგარიშო პერიოდში ჩატარებული გეოლოგიური სამუშაოების მოცულობა:*		
2.1	ჭაბურღილების გაყვანა:		

უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების ფორმა №1-01-ის „მონაცემები ბუნებრივი და ტექნოგენური საბადოებით (მყარი სასარგებლო წიაღისეული) სარგებლობის და საქმიანობის შედეგების შესახებ“ შევსების მითითებები

საერთო მითითებები:

ა) უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების ფორმა №1–01 და მისი შევსების ინსტრუქცია

	რაოდენობა/სიგრძე	ცალი/მ	
2.2	გვირაბების გაყვანა:		
	რაოდენობა/სიგრძე	ცალი/მ	
2.3	თხრილები:		
	რაოდენობა/სიგრძე	ცალი/მ	
2.4	ღარული სინჯები:		
	რაოდენობა/სიგრძე	ცალი/მ	
2.5	ტექნოლოგიური სინჯები:		
	რაოდენობა/წონა (მოცულობა)	ცალი/კგ.; ტ.; $მ^3$	
2.6	საცდელი კარიერები:		
	რაოდენობა	ცალი	
	ფართობი	ჰა	
	სამთო მასა	ტ.; $მ^3$	
2.7	გადახსნითი სამუშაოების მდგომარეობა (ღია წესით დამუშავებისას)		
2.7.1	ფუჭი ქანის მოხსნა	ტ.; $მ^3$	
2.7.2	მიმდინარე გადახსნის კოეფიციენტი	$\frac{მ^3}{ტ}$ $მ^3/მ^3$	
2.8	გამხსნელი და მოსამზადებელი გვირაბების გაყვანა (მიწისქვეშა წესით დამუშავებისას):		
	რაოდენობა/სიგრძე	ცალი/მ	
3	***სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება საანგარიშო პერიოდში***		
3.1	სასარგებლო წიაღისეულის ოდენობა საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის (კატეგორიებით) სახეობების მიხედვით (სასარგებლო წიაღისეულის ჩამონათვალი მოცემული ობიექტისათვის):	ტ.; $მ^3$ $\frac{ტ.;\ მ^3}{}$ სასარგებლ. კომპონენ. შემცველობა %	
3.1.1			

3.1.2			
3.1.3			
3.2	საანგარიშო პერიოდში მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ოდენობა (კატეგორიებით) სახეობების მიხედვით (სასარგებლო წიაღისეულის ჩამონათვალი მოცემული ობიექტისათვის):	ტ.; $მ^3$ ტ.; $მ^3$ სასარგებლ. კომპონენ. შემცველობა %	
3.2.1			
3.2.2			
3.2.3			
3.3	სასარგებლო წიაღისეულის ოდენობა საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის (კატეგორიებით) სახეობების მიხედვით (სასარგებლო წიაღისეულთა ჩამონათვალი მოცემული ობიექტისათვის):	ტ.; $მ^3$ ტ.; $მ^3$ სასარგებლ. კომპონენ. შემცველობა %	
3.3.1			
3.3.2			
3.3.3			
3.4	თანმდევი სასარგებლო წიაღისეულის ოდენობა (კატეგორიებით) საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის (სასარგებლო წიაღისეულთა ჩამონათვალი მოცემული ობიექტისათვის):	ტ.; $მ^3$ ტ.; $მ^3$ სასარგებლ. კომპონენ. შემცველობა %	
3.4.1			
3.4.2			
3.4.3			
3.5	საანგარიშო პერიოდში მოპოვებული თანმდევი სასარგებლო წიაღისეულის ოდენობა (კატეგორიებით) სახეობების მიხედვით (სასარგებლო წიაღისეულის ჩამონათვალი მოცემული ობიექტისათვის):	ტ.; $მ^3$ ტ.; $მ^3$ სასარგებლ. კომპონენ. შემცველობა %	
3.5.1			
3.5.2			

3.5.3			
3.6	თანმდევი სასარგებლო წიაღისეულის ოდენობა (კატეგორიებით) საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის (სასარგებლო წიაღისეულთა ჩამონათვალი მოცემული ობიექტისათვის):	ტ.; $მ^3$ ტ.; $მ^3$ სასარგებლ. კომპონენ. შემცველობა %	
3.6.1			
3.6.2			
3.6.3			
4	***ნარჩენები და მათი გადამუშავება***		
4.1	სანაყაროები:		
	რაოდენობა	ცალი	
	დაკავებული ფართობები სულ	ჰა	
	მათ შორის, ცალკეული (ჩამოთვლით):		
4.1.1			
4.1.2			
4.1.3			
4.2	დროებით გამოუყენებელი (სამთო და მიწის მინაკუთვნის ფარგლებში დასაწყობებული) სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა სახეობების მიხედვით	ტ.; $მ^3$	
4.2.1			
4.2.2			
4.2.3			
4.3	დროებით გამოუყენებელი სასარგებლო წიაღისეული დაგროვილი სპეცსაწყობში, სახეობების მიხედვით:	ტ.; $მ^3$	
4.3.1			
4.3.2			
4.3.3			
4.4	შლამ და კუდსაცავები		
	რაოდენობა	ცალი	

	დაკავებული ფართობები სულ	ჰა	
	მათ შორის ცალკეულის (ჩამონათვალი):		
4.4.1			
4.4.2			
4.4.3			
5	სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება:	ტ.; $მ^3$	
5.1	*სანაყაროზე გატანილის*		
5.1.1	საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის		
5.1.2	საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის		
5.2	*შლამ და კუდსაცავებში დაგროვილის*		
5.2.1	საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის		
5.2.2	საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის		
5.3	*სპეცსაწყობში დაგროვილის*		
5.3.1	საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის		
5.3.2	საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის		
5	***წიაღით სარგებლობისათვის გადახდილი გადასახდელები***		
5.1	წიაღით სარგებლობის გადასახდელი	ლარი	
5.2	რეგულირების საფასური	ლარი	

შემუშავებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ;

ბ) ფორმა №1–01-ს ადგენენ სათანადო სახის წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელი სუბიექტები და/ან ამ ლიცენზიაში დაფიქსირებული პარტნიორები, რომლებიც ნაწილობრივ ან მთლიანად განახორციელებენ ლიცენზიით გათვალისწინებულ წიაღით სარგებლობას;

გ) ფორმა №1–01 ივსება ლიცენზიით განსაზღვრული და სპეციალური სამთო-ტექნიკური, გეოლოგიურ-სამარკშეიდერო მომსახურების, აგრეთვე, საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებისა და გაანგარიშების შესაბამისად;

დ) ფორმაში მონაცემები აისახება სათანადო თავების სტრიქონებში მაჩვენებლების დასახელების შესაბამისად. ზომის ერთეული სათანადო სტრიქონში შეირჩევა წიაღისეულის სახეობების მიხედვით, მარაგების გამოთვლისათვის მიღებულის შესაბამისად, ტ ან $მ^3$;

ე) ფორმა №1–01 ივსება თითოეული ლიცენზიისათვის ცალ-ცალკე.

1. თავი 1-ის შევსების წესი:

ა) სტრიქონებში 1.2–1.3 აისახება ლიცენზიის გაცემის მომენტში ობიექტზე არსებული ძირითადი და თანმდევი სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ოდენობა ლიცენზიის პირობის შესაბამისად;

ბ) თუ სასარგებლო წიაღისეულის სახეობა სალიცენზიო ობიექტზე არ აღემატება ერთს, მაშინ ივსება სტრიქონი 1.2.1, ხოლო თუ ის ერთ სახეობაზე მეტია - მაშინ დამატებით სტრიქონები 1.2.2., 1.2.3 და ა.შ.;

გ) სტრიქონი 1.3 ივსება, თუ ობიექტზე დადასტურებულია თანმდევი სასარგებლო წიაღისეულის არსებობა. ამ სტრიქონების შევსების წესი ანალოგიურია ზემოაღნიშნულისა.

2. თავი 2-ის შევსების წესი:

სტრიქონებში 2.1–2.8 აისახება საანგარიშო პერიოდში ჩატარებული გეოლოგიური სამუშაოების მოცულობები, რომელსაც განახორციელებენ წიაღით მოსარგებლეები მყარი სასარგებლო წიაღისეულის საბადოების შესწავლისა და მისი შემდგომი მოპოვების პროცესში.

3. თავი 3-ის შევსების წესი:

ა) სტრიქონებში 3.1–3.6 აისახება ძირითადი და თანმდევი სასარგებლო წიაღისეულის მოცულობები (სახეობებისა და კატეგორიების მიხედვით) და მისი მარაგების მოძრაობა საანგარიში პერიოდის დასაწყისისა და დასასრულისათვის;

ბ) თუ სალიცენზიო ობიექტზე მხოლოდ ერთი სახეობის სასარგებლო წიაღისეულია – ივსება სტრიქონი 3.1.1. თუ მისი სახეების ოდენობა აღემატება ერთს, მაშინ შეივსება დამატებითი სტრიქონები 3.1.2, 3.1.3 და ა.შ. სასარგებლო წიაღისეულის სახეების ოდენობის შესაბამისად;

გ) ანალოგიური წესით ივსება სტრიქონები 3.2 და 3.3;

დ) სტრიქონები 3.4–3.6 ივსება, მაშინ, თუ ობიექტზე დადასტურებულია თანმხლები სასარგებლო წიაღისეულის არსებობა. ამ სტრიქონების შევსების წესი ანალოგიურია ზემოაღნიშნულისა.

4. თავი 4-ის შევსების წესი:

სტრიქონები 4.1–5.3 ივსება ლიცენზიანტების მიერ, რომელთა წიაღით სარგებლობა დაკავშირებულია სანაყაროების, სპეცსაწყობებისა და შლამ და კუდსაცავების არსებობასთან და ამ ობიექტებზე სასარგებლო წიაღისეულის დაგროვებასთან ან/და მათგან სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებასთან. სტრიქონების შევსების წესი ანალოგიურია ზემოაღნიშნულისა.

5. თავი 5-ის შევსების წესი:

სტრიქონებში 5.1–5.2 აისახება წიაღით სარგებლობის გადასახდელების გადახდის მდგომარეობა. მისი შევსების წესი ანალოგიურია ზემოაღნიშნულისა.

6. უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების ფორმა №1–01-ის ბოლო ფურცელზე კეთდება წიაღით მოსარგებლე სუბიექტის ხელმძღვანელის ბეჭედდასმული ხელმოწერა.

წიაღით მოსარგებლე სუბიექტის ხელმოწერა

ხელმძღვანელის სახელი, გვარი ბ.ა.

დანართი №4

სტატისტიკური დაკვირვების ფორმა №1-02

მონაცემები მიწისქვეშა წყლების და არასაწვავი აირების საბადოთა მდგომარეობისა და შესწავლის შესახებ

ლიცენზიის ნომერი	
წიაღით მოსარგებლე სუბიექტის	

სახელწოდება	
საიდენტიფიკაციო ნომერი	
მისამართი, ტელეფონი	
წიაღით სარგებლობის ობიექტის დასახელება	
წიაღით სარგებლობის სახე	
წიაღით სარგებლობის დაწყების თარიღი	
საანგარიშო პერიოდი	

№	მაჩვენებლის დასახელება	ზომის ერთეული	მაჩვენებელი
1	2	3	4
1	*წიაღით სარგებლობისათვის მიწისა და სამთო (გეოლოგიური) მინაკუთვნის მდგომარეობა ლიცენზიის გაცემის მომენტისათვის*		
1.1	ლიცენზიით გამოყოფილი მიწის და სამთო (გეოლოგიური) მინაკუთვნის ფართობი	ჰა	
1.2	სიღრმე (ჭის ან ჭაბურღილის)	მ	
1.3	სანიტარიული დაცვის ზონები	დამტკიცებული; დასამტკიცებელი	
1.4	დებიტი კატეგორიების მიხედვით:	$მ^3$/დღ.ღ; ტ/დღ.ღ ან $მ^3$/წ-ში; ტ/წ-ში	
2	*საბადოს სახეობა და სასარგებლო წიაღისეულის მარაგების მდგომარეობა საანგარიშო პერიოდში*		
2.1	*საბადოს სახეობა:*		
2.1.1	ბუნებრივი წყაროები	ცალი	
2.1.2	ჭები	ცალი	
2.1.3	ჭაბურღილები:	ცალი	
	საექსპლუატაციო	ცალი	
	სათვალთვალო	ცალი	
	სარეზერვო	ცალი	
	დებიტი გადაანგარიშების შემთხვევაში	$მ^3$/დღ.ღ; ტ/დღ.ღ	

2.2	(კატეგორიების მიხედვით):		ან $მ^3$/წ-ში; ტ/წ-ში	

სტატისტიკური დაკვირვების ფორმა №1-02-ის „მონაცემები მიწისქვეშა წყლების და არასაწვავი აირების საბადოთა მდგომარეობისა და შესწავლის შესახებ“ შევსების მითითებები

საერთო მითითებები:

ა) ფორმა №1-02-ს ადგენენ სათანადო სახის წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელი სუბიექტები და/ან ამ ლიცენზიაში დაფიქსირებული პარტნიორები, რომლებიც ნაწილობრივ ან მთლიანად განახორციელებენ ლიცენზიით გათვალისწინებულ წიაღით სარგებლობას;

ბ) ფორმა №1-02 ივსება ლიცენზიით განსაზღვრული მაჩვენებლების, შესაბამისი წიაღით სარგებლობის ობიექტის შესახებ ინფორმაციისა და წიაღის შესწავლის პროცესში შესაძლო გადათვლილი სასარგებლო წიაღისეულის მარაგების მონაცემებისა და გაანგარიშებების შესაბამისად;

გ) ფორმაში მონაცემები აისახება სათანადო თავების სტრიქონებში მაჩვენებლების დასახელების შესაბამისად. ზომის ერთეული შეირჩევა წიაღისეულის სახეობის მიხედვით, მარაგების გამოთვლისათვის მიღებულია $მ^3$ /დღ.ღ და ტ/დღ.ღ.;

დ) ფურცელზე ბოლოში კეთდება წიაღით მოსარგებლე სუბიექტის ხელმძღვანელის ბეჭედდასმული ხელმოწერა.

წიაღით მოსარგებლე სუბიექტის ხელმოწერა

ხელმძღვანელის სახელი, გვარი ბ.ა.

დანართი №5

სტატისტიკური დაკვირვების ფორმა №1-03

მონაცემები მიწისქვეშა წყლების და არსაწვავი აირების რეჟიმული ჰიდროგეოლოგიური დაკვირვებების, მოპოვებისა და წიაღით სარგებლობისათვის გადახდილი გადასახდელების შესახებ

ლიცენზიის ნომერი	
წიაღით მოსარგებლე სუბიექტის სახელწოდება	
საიდენტიფიკაციო ნომერი	
მისამართი, ტელეფონი	
წიაღით სარგებლობის ობიექტის დასახელება	

წიაღით სარგებლობის სახე	
წიაღით სარგებლობის დაწყების თარიღი	
საანგარიშო პერიოდი	

რიგ. №	თვე	ჭაბურღილი (წყარო, ჭა) №			მოპოვებული პროდუქციის რაოდენობა	წიაღით სარგებლობისათვის გადახდილი გადასახდელი (ლარი)	
		დებიტი	მიწისქვეშა წყლის				
		$м^3$/დღ.ღ ან ტ/დღ.ღ	ტემპერატურა ^0C	წყლის დონე მიწის ზედაპირიდან მ	$м^3$ ან ტ	წიაღით სარგებლობის გადასახდელი	რეგულირების საფასური
1	2	3	4	5	6	7	8
1	I						
2	II						
3	III						
4	IV						
5	V						
6	VI						
7	VII						
8	VIII						
9	IX						
10	X						
11	XI						
12	XII						
		საშუალო			ჯამი		

საერთო მითითებები:

ა) ფორმა №1-03-ს ადგენენ მიწისქვეშა წყლების საბადოთა დამუშავების წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელი სუბიექტები და/ან ამ ლიცენზიაში დაფიქსირებული პარტნიორები, რომლებიც ნაწილობრივ ან მთლიანად განახორციელებენ ლიცენზიით გათვალისწინებულ წიაღით სარგებლობას;

ბ) ფორმა №1-03 ივსება ლიცენზიით განსაზღვრული და წიაღით სარგებლობის განვითარების შედეგად მიღებული და სპეციალური სარეჟიმო ჰიდროგეოლოგიური მონაცემების, წიაღით სარგებლობის განვითარებისას მოპოვებული წიაღისეულის რაოდენობის გაანგარიშებების და წიაღით სარგებლობის გადასახდელების გადახდის მდგომარეობის შესაბამისად;

გ) სტრიქონებში 1-12 მოიყვანება საანგარიშო წლის თვეები მათი რიგითობით;

დ) თითოეულ ბუნებრივ წყაროზე, ჭაბურღილზე ან სხვა საკაპიტაჟე ნაგებობებზე შეივსება ცალკე ფურცელი ნუმერაციით და ბოლო ფურცელზე კეთდება წიაღით მოსარგებლე სუბიექტის ხელმძღვანელის ბეჭედდასმული ხელმოწერა.

წიაღით მოსარგებლე სუბიექტის ხელმოწერა

ხელმძღვანელის სახელი, გვარი ბ.ა.

დანართი №6

უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების ფორმა №1-04

მყარი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან დაუკავშირებელი მიწისქვეშა ნაგებობების და სიცარიელეების მდგომარეობისა და წიაღით სარგებლობისათვის გადახდილი გადასახდელების შესახებ

ლიცენზიის ნომერი	
წიაღით მოსარგებლე სუბიექტის სახელწოდება	
საიდენტიფიკაციო ნომერი	
მისამართი, ტელეფონი	
წიაღით სარგებლობის ობიექტის დასახელება	
წიაღით სარგებლობის სახე	
წიაღით სარგებლობის დაწყების თარიღი	
საანგარიშო პერიოდი	

№	მაჩვენებლის დასახელება	ზომის ერთეული	მაჩვენებელი
1	2	3	4

1	**სამთო მინაკუთვნი**		
1.1	ფართობი/მოცულობა	ჰა/ $მ^3$	
2	**მიწის მინაკუთვნი**	ჰა	
2.1	ლიცენზიით გაცემული		
2.2	ფაქტობრივად დაკავებული მიწის ფართობი		
3	**ობიექტის მშენებლობის ვადები**	წელი, თვე, რიცხვი	
3.1	დაწყება/დამთავრება		
4	**ობიექტების ძირითადი პარამეტრები:**	$მ^3$	
4.1	სიგრძე	მ	
4.2	სიგანე	მ	
4.3	სიმაღლე	მ	
4.4	კვეთი:		
4.4.1	წიაღში შექმნილი სიცარიელის	$მ^2$	
4.4.2	სინათლეში	$მ^2$	
4.5	დახრის კუთხე	გრადუსი	
5	**შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა:**		
5.1	წიაღიდან ამოღებული სამთო მასა	$მ^3$	
5.2	წიაღში განთავსებული ნაგებობა		
5.3	მიწისქვეშა ბუნებრივი სიცარიელეები (მშენებლობით ათვისებული სივრცე)		
6	**მშენებლობისას დარღვეული მიწის ფართობი**	ჰა	
6.1	მიწის ნაყოფიერი ფენის მოცულობა	$მ^3$	
6.2	მოხსნილი		
6.3	დასაწყობებული		
7	**ამოღებული სამთო მასის განთავსება** **სანაყაროს პარამეტრები:**		
7.1	სიგრძე	მ	
7.2	სიგანე	მ	

7.3	სიმაღლე	მ	
7.4	მოცულობა	$მ^3$	
7.5	დაკავებული ფართობი	$მ^2$	
8	**ობიექტის ექსპლუატაციის ვადები**	წელი, თვე, რიცხვი	
8.1	დასაწყისის/დასასრულის		
9	**ობიექტის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევის ჩატარების ვადები მათი სახეობების მიხედვით. საპროექტო/ფაქტობრივი.**	წელი, თვე, რიცხვი	
10	**ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევის შედეგები:** **შემოწმებული მოცულობა**	$მ^3$	
10.1	სიგრძე	მ	
10.2	ფართობი	$მ^3$	
11	**ტექნიკურად მდგრადი უბნები**	$მ^3$	
11.1	ფარდობა მთლიანად მოცულობასთან	%	
12	**მცირედ დაზიანებული უბნები**	$მ^3$	
12.1	ფარდობა მთლიან მოცულობასთან	%	
13	**ავარიული უბნები**	$მ^3$	
13.1	ფარდობა მთლიან მოცულობასთან	%	
14	**ჩატარებული სარემონტო სამუშაოები**	$მ^3$	
15	**წიაღით სარგებლობისათვის გადახდილი გადასახდელები**	ლარი	

სტატისტიკური დაკვირვების ფორმა №1-04-ის მონაცემები „მყარი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან დაუკავშირებელი მიწისქვეშა ნაგებობების და სიცარიელეების მდგომარეობისა და წიაღით სარგებლობისათვის გადახდილი გადასახდელების შესახებ“ შევსების მითითებები

საერთო მითითებები:

ა) ფორმა №1-04-ს ადგენენ მიწისქვეშა სათანადო სახის წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელი სუბიექტები და/ან ამ ლიცენზიაში დაფიქსირებული პარტინიორები, რომლებიც ნაწილობრივ ან მთლიანად განახორციელებენ ლიცენზიით გათვალისწინებულ წიაღით სარგებლობას;

ბ) ფორმა №1-04 ივსება ლიცენზიით განსაზღვრული და შესაბამისი წიაღით სარგებლობის განვითარების შედეგად მიღებული და სპეციალური სამთო-ტექნიკური, გეოლოგიურ-სამარკშეიდერო მომსახურების, აგრეთვე, საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებისა და გაანგარიშებების შესაბამისად;

გ) ფურცელზე ბოლოში კეთდება წიაღით მოსარგებლე სუბიექტის ხელმძღვანელის ბეჭედდასმული ხელმოწერა.

წიაღით მოსარგებლე სუბიექტის	ხელმოწერა
ხელმძღვანელის სახელი, გვარი	ბ.ა